რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 2 დეკემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, Для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 50 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 50

# ზავზე მოლაპარაკება უკვე დაიწყო

## გაუმარჯოს ზავს. გაუმარჯოს რევოლუციას.

## გაუმარჯოს საბჭოების რევოლუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

## ქუთაისის გუბერნიაში

მომქმედ ორგანიზაციების და ჯგუფების საყურადღებოთ, ქუთაისის რ. ს. დ. მ. პ. (მეუმრავლესეთა) კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველივე მიწერ-მოწერა და ორგანიზაციების მუშაობის შეკავშირება-შეთანხმება ევალება ამხ. ვას. კანდელაკს. მისამართი მისი (Кутаисъ. Госпитальная № 26).

ორშაბათს, 4 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში დანიშნულია

### საერთო კრება

მუშათა და სალდათთა ახლათ არჩეულ საბჭოსი.

დღეს, 3 დეკემბერს, დილის 10 საათზე რედაქციაში დანიშნულია „ბრძოლის" სარედაქციო კოლეგიის და თანამშრომელ კორესპონდენტების კრება. ამხანაგებს ვთხოვთ არ დაიგვიანონ.

## ორი რევოლუცია.

რუსეთის ხალხმა ამ ერთ წელიწადში ორი რევოლუცია გამოსცადა: თებერვლის და ოქტომბრის. პირველი იყო მიმართული მეფის თვითმპყრობელობას წინააღმდეგ. თვითმპყრობელობის ნანგრევებზე აღმოცენდა ბურჟუაზიული მთავრობა, ხოლო ამ მთავრობის ნანგრევებზე—მუშების და გლეხების მთავრობა.

პირველმა რევოლუციამ ადვილათ მოიპოვა გამარჯვება, თვითმპყრობელობა იმდენათ დალპა და გაიხრწნა, იმდენათ შეაზიზღა ქვეყანას თავი, რომ თითქმის არ გამოსჩენია დამცველი. ახალი მთავრობა ხელათ იცნო მთელმა სახელმწიფომ და ფიცი მიიღო მის ერთგულობაზე, ხალხი ხარობდა, რომ თვითმპყრობელობა დაემხო, ბურჟუაზია ხარობდა, რომ ძალა-უფლება მას დარჩა ხელთ. ამ ნიადაგზე შეიქმნა საერთო კმაყოფილება, რომელიც გამოხატავდა ხალხის გულუბრყვილობას და ბურჟუაზიის ანგარიშს.

მეორე რევოლუციამ ათასი დაბრკოლება გადალახა, სანამ გამარჯვებას მიაღწევდა. სიძნელე შეიქმნა 8 თვის განმავლობაში ხალხს ეწვნია მთელი სიმძიმე ბურჟუაზიის მოღალატური პოლიტიკისა, რომ გულ უბყვილობას პოლიტიკური აღზრდა-მომწიფებისთვის დაეთმო ადგილი. რევოლიუციონურმა ხალხმა, რაკი შეიგნო თავისი ინტერესები, ადვილათ დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და შექმნა მუშების და გლეხების მთავრობა.

წინდაწინ მოსალოდნელი იყო, რომ ამ მთავრობას არ სცნობდა მთელი სახელმწიფო. მართალია პროლეტარიატმა და გლეხობამ სცნო ბურჟუაზიის მთავრობა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ბურჟუაზია ამის სამაგიეროს არ გადაუხდიდა და თავის მხრით არ სცნობდა მუშების და გლეხების მთავრობას.

მუშები, სალდათები და გლეხები თავისი შეუგნებლობით და გულუბრყვილობით მიენდეს ბურჟუაზიის მთავრობას. სამაგიეროთ, ბურჟუაზია ვერ ჩაიდენდა ასეთ გულუბრყვილობას და ნდობას ვერ გამოუცხადებდა იმ მთავრობას, რომელიც ძირს უთხრის მის საუკუნოებით განმტკიცებულ უფლებებს. თუ პირველი რევოლიუციის დროს ჩქარა დამყარდა საერთო კმაყოფილება და სამოქალაქო ომს ადგილი არ ქონია, ეს იმიტომ მოხდა, რომ ბურჟუაზია გაბატონდა ქვეყნათ და მაშასადამე მეტათ კმაყოფილი იყო და ამავე დროს ხალხი არ ეურჩებოდა მისი მოსისხლე მტრის ბატონობას.

ბურჟუაზია საშინლათ წინააღუდგა მუშების და გლეხების მთავრობას და გააჩაღა სამოქალაქო ომი მის დასამხობათ. აშკარაა, ბურჟუაზია ნებით არ დამორჩილდება ხალხის ბატონობას და აუცილებელი ხდება ძალის ხმარება მისი ურჩობის გასატეხათ. ბრძოლა გაჩაღებულია, კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შუა გადაიქცა სამოქალაქო ომათ და მისი გათავება შეიძლება მხოლოთ ერთ-ერთი მებრძოლის დამარცხებით.

აქედან ცხადია, რა აზრი აქვს იმ „პოლიტიკოსების" მიმართულებას, რომლებიც არ სცნობენ „ლენინის მთავრობას," რადგან ჯერ მას მთელი სახელმწიფო არა სცნობსო. მთელი სახელმწიფო ვერც იცნობს ამ მთავრობას თავის მთავრობათ, ეს მუშების და გლეხების მთავრობაა და ბურჟუაზია უეჭველათ უნდა შეებრძოლოს მას. რაც შეეხება მუშებს, გლეხებს და სალდათებს, მათ თითონ შექმნეს ეს მთავრობა სწორეთ იმ აზრით, რომ დაიცვას მან ხალხის ინტერესები და ალაგმოს ბურჟუაზია. ამ მთავრობას სცნობს და მხარს უჭერს მუშების, გლეხების და სალდათების და მას ეწინააღმდეგება ბურჟუაზიის და მემამულეების რუსეთი. დადგება ის დრო, რომ ბურჟუაზიაც იცნობს ამ მთავრობას, მაგრამ ეს მაშინ მოხდება, როცა ბურჟუაზია სამუდამოთ დამარცხებული შეიქნება და იძულებული გახდება შეურიგდეს თავის დამარცხებას. მაშასადამე, ის მოსაზრება, რომ ამ მთავრობას მანამდე არ დაუჭირ მხარს, სანამ მთელი რუსეთი მას არ იცნობსო, ნიშნავს, ჯერ გაუთავებელი ბრძოლის დროს, კონტრ-რევოლიუციის მხარეს გადმოსვლას.

მუშების და გლეხების მთავრობა თავგანწირვით ემსახურება ამ კლასების ინტერესებს. მას მხარი უნდა დაუჭიროს ყველამ, ვისაც ამ ინტერესების სამსახური თავის მიზნათ გაუხდია. ყოველი ორპირობა და გაუბედაობა ამ საქმეში ნიშნავს ბურჟუაზიის წისქვილის აბრუნებას და ხალხის უფლებების დათრგუნვას. ან ხალხთან და მაშასადამე ხალხის მთავრობასთან, ან კონტრ-რევოლიუციონერებთან და მაშასადამე ძველ მთავრობასთან. საშუალო გზა არ არსებობს.

## რა გააკეთა რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობამ.

(ა. ლუნაჩარსკის მოხსენება).

დიდი, უზარმაზარი, მკრთალათ განათებული დარბაზი სავსეა ხალხით. ყველა მოუთმენლათ მოელის კრების გახსნას. ჯარის კაცთ და გლეხებს არ შეუძლიათ გულგრილათ უყურონ თავის მთავრობას.

ტრიბუნაზე ადის—სახალხო კომისარი, ა. ლუნაჩარსკი.

— ამხანაგებო, დაიწყო მან, ორი კვირა გავიდა, რაც პირველი მოხსენება წავიკითხე თქვენს წინაშე და ამ ორ კვირაში მეტი დიდმნიშვნელოვანი ამბები მოხდა.

დავიწყოთ საგარეო პოლიტიკიდან. როცა თქვენ, ამხანაგებო, 25 ოქტომბერს ახალი რევოლიუცია დაიწყეთ და ძალა-უფლება დაიპყარით, დემოკრატიის არა მარტო მთელი მარჯვენა ნაწილი ჩამოგვშორდა ჩვენ, არამედ ისეთი მახლობელი ელემენტებიც კი, როგორებიც არიან მენშევიკ-ინტერნაციონალისტები და გაზ. „ნოვაია ჟიზნის" მიმდევრები. ესენი ყველა ერთხმათ ამტკიცებდენ რომ ბოლშევიკებს არ ძალუძთ ზავზე მოლაპარაკება დაიწყონ და ომი შეწყვიტონ, ვინაიდან, მათი აზრით არც მოკავშირე სახელმწიფოები და არც მოწინააღმდეგენი არ მოისურვებენ მოლაპარაკება გამართონ რუსეთის ახალ ბოლშევიკურ მთავრობასთანო. მაგრამ ჩვენი პოზიცია სწორი გამოდგა. ჩვენ ვამბობდით, რომ ბურჟუაზიული მთავრობანი ანგარიშს გაუწევენ ჩვენს ძალას, ვინაიდან მათ ამას თვითონ მათივე ხალხი აიძულებს, როცა ჩვენ მათ ზავზე მოლაპარაკების დაწყებას მოვთხოვთ. და მართლაც ზავისთვის ბრძოლა ჩვენ რევოლიუციონერათ წავიყვანეთ: ჩვენ მათ ისეთი ენით დაუწყეთ ლაპარაკი, რომლითაც ჯერ მათ არავინ გამოლაპარაკებია. ჯერ ისევ ბატონი კერენსკი იყო იძულებული მოკავშირისათვის მოეგონებია, რომ „რუსეთი ჯერ კიდევ დიდი სახელმწიფოა! ჩვენ ახლა სულ სხვა ენით შეგვიძლია მათთან ლაპარაკი იმიტომ, რომ ჩვენ ახლა მოკავშირეებათ ახალი მილიონები შევიძინეთ: ომით მოქანცულ-ილაჯგაწყვეტილი ხალხები ჩვენს მხარეზე არიან. მათ კარგათ იციან, რომ არც ერთ მთავრობას არ ძალუძს გამაგრდეს, თუ ჩვენ მიერ აღიარებულ ზავს უარყოფს. პირველმა ისპანიამ იცნო ჩვენი ძალა. მას სხვა ნეიტრალური ქვეყნებიც მიყვენენ! (ტაშისცემა).

ზავისთვის ბრძოლა ჩვენ შეუჩერებლივ დავიწყეთ. ვუბრძანეთ რა გენერალ დუხონინს, რომ, დაუყონებლივ ზავზე მოლაპარაკება დაეწყო. როცა მან ჯერ ყოყმანი დაიწყო და მერე სულ უარი სთქვა, რა უნდა გვექნა მაშინ? რომ

მენშევიკები ვიყოთ, ბედს დავემორჩილებოდით. მაგრამ ჩვენ სხვანაირათ მოვიქეცით: გენერალი დუხონინი დაუყონებლივ ადგილიდგან გადავაყენეთ და მის მაგივრათ პრაპორშჩიკი კრილენკო დავნიშნეთ. ის არაფერია, რომ იგი „სტავკამ“, გენერლების ბანაკმა არ იცნო, საქმე ისაა, რომ ის სალდათებმა მიიღონ. ის დაუყონებლივ ფრონტისკენ გაემართა და მან გერმანელთ მოციქულები გაუგზავნა, რომ ახლავე დროებითი მორიგებაზე მოლაპარაკება დაიწყონ, რომ რუსეთის ყველა ფრონტზე სისხლის ღვრა ამ წუთშივე შეწყდეს.

აქ სეპარატიულ ზავზე კი არაა ლაპარაკი, ამხანაგებო, არამედ იმაზე—მე ამას ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ყველა ფრონტებზე დღეიდანვე მორიგება ჩამოვარდეს. თქვენმა კომისარმა, რომელსაც საგარეო საქმეები აქვს მინდობილი, ამხ. ტროცკიმ მეორე დღესვე, როგორც კი გერმანიის შტაბისგან თანხმობა მიიღო, მოკავშირეთა სახელმწიფოებს წინადადებით მიმართა, რომ 19 ნოემბრისათვის წარმომადგენლები გამოეგზავნონ მოსალაპარაკებლათ. თუ ამაზე ისინი არ დათანხმდებიან, ამბობს ის, მაშინ ჩვენ თვითონ მარტო გავმართავთ მოლაპარაკებასო და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვილჰელმი ზავის შეუწყნარებელ პირობებს ვერ წამოაყენებს, ვინაიდან ის უთუოთ ანგარიშს გაუწევს იმ მოსალოდნელ აჯანყებას, რომელიც მისივე ჯარის რაზმებში აუცილებლათ იფეთქებს. მართლაც ამის საპასუხოთ გერმანიის შტაბმა მორიგების პირობათ ფრონტზე დაძმობილების შეწყვეტა მოითხოვა და ამით დაამტკიცა უსაფუძვლობა და სიყალბე იმ ხმებისა და ჭორებისა, თითქო დაძმობილება ფრონტზე გერმანიის შტაბის მოგონება იყოს და მისი წაქეზებით ხდებოდეს; ნამდვილათ კი, როგორც ახლა გამოაშკარავდა, რუსეთის რევოლიუციის გავლენის ძალიან ეშინია.

ჩვენ პირდაპირ ზომებს არ ვერიდებით. როცა ამხ. ტროცკიმ ინგლისის მთავრობას ჩვენი დატყვევებული ამხ. ჩიჩერინის და პეტროვის დაუყონებლივ განთავისუფლება მოითხოვა, რომლებიც ინგლისში დაატუსაღეს, და ამაზე ინგლისის ელჩმა, სერმა ბიუკენენმა სიჩუმით უპასუხა, მაშინ ჩვენმა მთავრობამ დეკრეტი გამოსცა, რომ ინგლისის ქვეშევრდომთათვის პასპორტები არ მიეცათ. ამის შემდეგ, ხვალ, ალბათ გაზეთებში წაიკითხავთ, რომ ბ. ბიუკენენი სულაც არ ფიქრობს სახალხო კომისართა ძალაუფლება უარყოს, არამედ ის ვალდებულათ თვლის თავის თავს თავისი მთავრობის დირექტივებს ელოდოს.

ჩვენი მოწინააღმდეგეები თავიდანვე სულ იმას გაიძახოდენ, რომ 25 ოქტომბრის რევოლიუცია ერთი მუჭა ბალშევიკების შეთქმულობაა. (იცინიან.) მენშევიკები თავის „მუშათა გაზეთში“ სწერდენ, რომ მუშები იმ დროს თავთავიანთ უბნებში მშვიდათ ისხდენ და რევოლიუციურ გამოსვლებში არავითარ მონაწილეობას არ იღებდენო. (ისმის კიდევ უფრო ხმა მაღალი სიცილი.) მაგრამ დამფუძნებელი კრების არჩევნებმა აშკარათ გვაჩვენა, თუ როგორ უყურებენ ოქტომბრის რევოლიუციას მუშები და ვის მიჰყვებიან ისინი. არასოდეს არც ერთ ქვეყანაში ხმის მიმცემთა პროცენტი არჩევნებში ისე დიდი არ ყოფილა, როგორც ეს ახლა პეტროგრადში, განსაკუთრებით მუშათა უბნებში მოხდა, სადაც ზოგ უბანში ხმის მიმცემთა რიცხვი 90 პროცენტს აღწევდა, და თქვენ იცით, რომ ჩვენ იმდენი ხმა მივიღეთ, რამდენიც კადეტებმა და ესერებმა ერთათ მიიღეს და ისიც მათ მიერ წამოყენებული ორი კანდიდატისგან ერთი მათგანი, ამხანაგი კამკოვი, მემარცხენე ესერია.

ამბობდენ, ბალშევიკები, როგორც კი მთავრობის სათავეში ჩადგებიან, დამფუძნებელი კრების მოწვევას არ მოისურვებენ, რადგან მათ ეშინიათ ჰკითხონ ხალხს, თუ რა აზრის არის იგი მათზე. მაგრამ ჩვენ არ ვუფრთხით ამას, პირიქით ღრმათ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ დამფუძნებელ კრებაზედაც ჩვენი გავლენა გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება, მით უფრო რომ იგი ბალშევიკების და მემარცხენე ესერების კავშირის უძლეველობას გამოხატავს, რომელიც თავის მხრივ საბჭოების ძლიერებაზე იქნება დამყარებული და თავისი სახით წარმოგვიდგენდენ ნამდვილ ძლევამოსილ აღმასრულებელ ორგანოებს.

გლეხთა წარმომადგენლების სიეზდის მოწვევა ჩვენი ახალი გამარჯვება იყო. პირველათ მემარცხენე ესერები ყოყმანში იყვენ და ჩერნოვთან კავშირის გაწყვეტა გაუძნელდათ, მარა როგორც კი სოფლის ძლიერი ხმა მოესმათ, მყისვე გამოერკვენ. ნოემბრის 15 რიცხვი, სწორეთ რომ სადღესასწაულო, წითელი დღე იყო: ჯარისკაცები, მუშები და გლეხები ამ დღეს დაძმობილდენ ერთი პროგრამით და მათი კავშირი გახდა უძლეველი.

თუ მხედველობაში მივიღებთ რა გაკეთდა ამ უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში, მაშინ ჩვენ პირდაპირ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ კატასტროფას, რომელიც ჩვენს განადგურებულ ქვეყანას ემუქრება, თავიდან ავიშორებთ. ვიკჟელის (რკ. გზების ცენტ. კომიტ.) ცნობით ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, რკინის გზების მდგომარეობა ბევრათ გაუმჯობესდა, „ავათმყოფ ვაგონების“ რაოდენობა დიდათ შემცირდა. სურსათის საკითხის მხრივაც ცოტაოდენის გაკეთებაც მოვასწარით; მიუხედავათ საბოტაჟისა, ხორბალი როგორც თვით პეტროგრადში, ისე რკინის გზების მრავალ სადგურებზე ბლომათ გამოინახა, ასე რომ ჩვენ პურის ულუფის რამოდენიმეთ გადიდებაც შევძელით; არც ფრონტი დაგვივიწყებია ჩვენ. ჯერ ისევ ამ რამდენიმე დღის წინათ ფრონტის ამ მხრივ მდგომარეობა მეტათ კრიტიკული იყო, ახლა კი ფრონტზე სურსათი შედარებით მეტი იგზავნება.

ყველაზე უფრო სათბობ მასალის სიმცირე ამწვავებს მდგომარეობას და ეს იმის შეოხებით, რომ დონის მიდამოებს ცნობილი კალედინი ფლობს. მაგრამ ჩვენმა ძლევა-მოსილმა ფლოტმა, რომელიც ჩვენი რევოლიუციის ავანგარდათ უნდა ჩაითვალოს, თავის წრიდან თავდადებულ გმირ მებრძოლთა ახალი რაზმები გამოყო და კალედინის წინააღმდეგ გაგზავნა, (ტაშის ცემა) უკრაინელთა რადამაც თავი მოუყარა თავის ჯარს და მის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ ემზადება. ამნაირათ ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ კალედინს და მის რაზმებს მალე ბოლოს მოვუღებთ. და თუ იქ მართლაც აუცილებელი გახდა სისხლის ღვრა, უნდა ვიფიქროთ, რომ მსხვერპლი შედარებით მცირე დაგვჭირდება, ვინაიდან კალედინის ლაშქარიც ისე გაქრება, როგორც ერთ დროს ხალხის წინააღმდეგ წასული ლაშქარი კორნილოვისა, კრასნოვისა და სხვების, ყაზახები ეხლაც რყევაში არიან და არ იციან ვის მხარეზე დადგენ. რუსეთის ძლევა-მოსილ ხალხთან ერთათ, თუ თავის მებატონე მემამულეებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული დარჩენ.

არც სტავკაა ჩვენთვის საშიში: ვინაიდან საეჭვო აღარაა, რომ ფრონტზე ახლა არც ერთი სალდათი აღარ მოიპოვება ისეთი, რომელიც ომის გაგრძელებისთვის იბრძოლებდა.

ხვალ, ალბათ, წაიკითხავთ დეკრეტს იმაზე, თუ როგორ უნდა მოეწყოს სახალხო სასამართლოები. ჩაგრულთა კლასს არ შეუძლია იწამოს ან სამართალი, ან პატიოსნება ან სამჯავრო თავისი მტრებისა, მან უნდა შექმნას საკუთარი სასამართლო, თავისი სახალხო სამსჯავრო, რომელიც ჭეშმარიტ სიმართლეს ემსახურება. ახალი სამართალი თვით ცხოვრებაში შემუშავდება. სწავლული იურისტები გვეტყვიან, რომ ჩვენი სამსჯავრო წესიერებას მოკლებული იქნება. დე იყოს ნაკლები წესიერება, მხოლოთ კი სასამართლო გამოხატავდეს ნამდვილ ხალხის სიმართლეს.

ჩვენ საქალაქო საბჭოს დათხოვაც მოგვიხდა (ტაშის ცემა) ეს აუცილებელი ნაბიჯი იყო. ეს საბჭო იმ დროს აირჩიეს, როცა ჯერ კიდევ ხალხს შემცნეული კარგათ არ ქონდა თავისი ინტერესები; ქალაქის საბჭომ კი თავი მუშებისა და სალდათებისადმი მტრულ განწყობილებაში ჩააყენა. ჩვენ მას კი არ ვდევნით იქიდან, არამედ ვეუბნებით: რაკი თქვენი ფიქრით თქვენ თქვენს თავს თქვენი ამომრჩევლების სურვილების გამომხატველათ თვლით, ვნახოთ, შევამოწმოთ ახლა, თუ რამდენათ სწორია ასეთი წარმოდგენა: მოვახდინოთ ხელ-ახალი არჩევნები და თუ თქვენ ხელ-ახლავ აგირჩევენ, მაშინ ამას დავემორჩილებით. ნამდვილი დემოკრატი არასოდეს არ შეუშინდება იკითხოს, თუ რა აზრის არიან მასზე მისი ამომრჩევლები.

დასასრულ მე მოგახსენებთ ჩემი უწყების საქმეთა ვითარებას. ხვალ სამინისტროში ყველა მოსამსახურეთათვის წავიკითხავ მე მოხსენებას დაბალი მოსამსახურეებს სურთ ჩემთან იმუშაონ; ხოლო თუ მაღალი წრე მოსამსახურეებისა, რომელიც კარგათ დაჯილდოვებულ ინტელიგენციისგან შედგება, უარს იტყვის სამსახურზე, მე ამას არ მეშინია: უკვე მზათა მყავს მთელი ამალა თანამშრომლებისა, რომლებიც ჩემთან ერთათ მუშაობა სწყურიათ; და ამნაირათ მე შემიძლია მალავე მოვამსახურეთ, „დიდ ჩინოვნიკებს“, რომლებიც საბოტაჟს გვიწყობენ, თამამათ ვუთხრა: წადით, დაიკარგეთ! (ტაშის ცემა).

მე ვათავებ ჩემს მოხსენებას იმით, რითაც ჩემზე წინათ მოლაპარაკემ დაასრულა: კიდევ კარგი, რომ ხალხმა თავის დროზე ხელთ იპყრა სახელმწიფოს ძალაუფლება! ისტორია იტყვის, რომ მან ამით მართლაც იხსნა საშინელი დაღუპვისაგან! (მქუხარე ტაშის ცემა და ოვაციები.)

## სოციალისტები თუ რეკლამისტები.

მენშევიკ ინტერნაციონალისტის წერილი.

მას შემდეგ, რაც რუსეთის პროლეტარიატს და გლეხკაცობას ბედმა არგუნა ასეთი უმაღლითო და უდიდესი როლი, ჩვენი მენშევიკები სასოწარკვეთილებას მიეცენ და არ იციან რა ქნან, რით დაუკარგონ ნდობა მშრომელი ხალხის მთავრობას, რით მოცხონ ჩირქი მის წმინდა და პატიოსან მოქმედებას, მის შეურყეველ მტკიცე ზომების მიღებას. ისე დღე არ გავა, რომ მათ ორგანო „ერთობის“ ფურცლებზე არ დაიბეჭდოს ბრაზ მორეული, თავხედური შინაარსის სიტყვები ბოლშევიკების წინააღმდეგ. რით აიხსნება ეს ლაყბობა, ეს ქუჩური პროვაკაციული გალაშქრება ბოლშევიკების წინააღმდეგ? იმით ხომ არა, რომ ისინი ველარ მოექცენ სათავეში რუსების სახელოვან რევოლიუციას და ვერ მოიკალათეს თბილ ადგილებზე ძველებურათ?

ერთი ვკითხოთ, რა აბრაზებთ ამ ვაჟბატონებს, რა არის ამათი აღშფოთების მიზეზი და რათ შეიარაღებულან პროლეტარ გლეხკაცობის მთავრობის წინააღმდეგ? ვითომდა მშრომელი ხალხის გულშემატკივრები ისე იდებენ თავსა და სცდილობენ დაიხსნან ქვეყანა განსაცდელიდან. მე დარწმუნებული ვარ და ყველაც დამეთანხმება, რომ მენშევიკ-ესერებს რომ არ ჩაედინათ უდიდესი შეცდომა და არ გამოკლებულიყვნენ მეორე მთელათ რუსეთის საბჭოების სიეზდიდან, ცოტათ თუ ბევრათ მხარე დაეჭირათ ბალშევიკებისათვის, ისინი არამც თუ დაგმობდნენ ბალშევიკების ზომებს, არამედ გულით და სულით ეცდებოდნენ მათი ზომების ცხოვრებაში განხორციელებას. მაგრამ მათი ტრაღედია და დამცირება იმაშია, რომ ისინი ვერ ბედავდენ ამისთანა დიდი ნაბიჯის წინ გადადგმას ცხოვრებაში და არც მოელოდნენ, თუ ასე გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა რუსეთის რევოლიუცია. დღეს, როდესაც ისინი მოესწრენ გალიპულ რეალურ ცხოვრებას, იგრძნეს თავიანთი უადგილობა და უტაქტიკობა, იმ დროს როდესაც ისინი უნდა გმობდნენ თავიანთ შეცდომას და მუხანათობას, უნდა [illegible] უდრეკდენ რუსეთის რევოლიუციონური არმიის და პროლეტარიატის გმირულ გაბედულათ ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას, ეს ვაჟბატონები აღარ ზოგავენ აღარც ყელს, აღარც ხელს და კალამს, გადაიქცენ ერთ რაღაც მყვირალა მჩხავანა გუნდათ, გამოდიან და სცდილობენ რევოლიუციის დასამარებას. ერთი ვნახოთ მაინც რა სწადიათ: რუსეთი ჯერ იმდენათ არ არის მომწიფებული და განვითარებული, რომ მან შეინარჩუნოს სრული თავისუფლებაო. ჩვენ გვსურს, რომ რუსეთმა ისარგებლოს თავისუფლებით, მხოლოთ სათავეში კი უნდა უდგნენ ამ თავისუფლებას გამორჩენილი პირები, სწავლით და განათლებით აღჭურვილი, რომ სახელმწიფოს მართვა გამგეობა ჯეროვანათ აწარმოვოსო. მათი სიტყვებით, პროლეტარიატს არა ჰყოლია საკმაოთ მომზადებული პირები, რომ მათ გაუწიონ სახელმწიფოს ჯეროვანი ანგარიში. და თუ ვინმე გამოუჩნდათ პროლეტარიატს და გლეხკაცობას ლენინ-ტროცკისთანა პირები, ისინი სანდობი არ არიანო და ამიტომ ვერ მივემხრობით პროლეტარიატის დიქტატორის პოლიტიკასო. აი გაიხედეთ მკითხველნო რას როშავენ ეს ბატონები, ეს სოციალისტები. თუ პროლეტარიატს არ ეყოლება კერენსკი წერეთლისთანა ცნობილი პირები, სხვას ისინი ნდობას ვერ უცხადებენ. ხშირათ გაიგონებთ მათგან, რომ ბალშევიკები ანარქო-ბლანკისტები არიან და არა სოციალისტებიო, რადგანაც ძალით უნდათ ჩაიგდონ მათი მართვა გამგეობაო. უფლება გვაქვს შევეკითხოთ, ნუ თუ ჩვენი და მათი მთავარი კ. მარქსი უკუაგდებს შეიარაღებული ძალით ძალა უფლების ჩაგდებას ხელში? ნუ თუ მარტო ცარიელი უხეში სიტყვებია საჭირო, რომ ბურჟუა კაპიტალისტებმა დათმონ თავიანთი ბატონობა, ა ყარონ იარაღი და ჩააბარონ თავიანთი უფლება? ეს ასე რომ ყოფილიყო, ამ 200 საუკუნის განმავლობაში ორასჯერ განხორციელ-

დიბოდა ძმობა და თანასწორობა, აღარ იქნებოდა არც მდიდარი აღარც საწყალი, აღარ იქნებოდა კლასიური ბრძოლა. მართლაც მარტო ცარიელი სიტყვები რომ სჭრიდნენ გულ ქვა ბურჟუაზიებზე და სხვათა გაბატონებულ კლასებზე ტოლსტოის სიტყვები აქამდინ იმოქმედებდენ გაუმაძღარ ბურჟუა იმპერიალისტებზე და აღარ იქნებოდა მათი მეოხებით გამოწვეული ამისთანა საშინელი სისხლის ღვრა. ძალიან საკვირველია, თუ კი თქვენ არ გქონდათ გული დადებული თქვენ საქმეზე, თუ კი რუსეთის მშრომელი ხალხიდან არ ელოდებოდით გულ დასმენით მოპყრობას თავის უფლებისადმი, ჰკუიანათ და აზრიანათ საქმის გაძღოლას, მოკლეთ ვსთქვათ, თუ კი იცოდით რუსეთის მშრომელი ხალხი ჯერ კიდევ ძალიან „ბლაგვი" იყო, რაღათ ხმარობდით ყოველივე ღონის ძიებას აგემხედრებინათ იგინი თავიანთ ბატონებზე, ცარიზმზე და მათი მეოხებით რათ ანგრევდით რომანოვის ტახტს? რატომ მაშინ არ იყავით წინააღმდეგი საბჭოებისა, რომელსაც თქვენი ბელადები სათავეში ჩაუდგნენ ხალხის სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას? რატომ იოჯებოდით, ყმაწვილებო, მაგ დამყაყებული ხალხისთვის? თქვენ ამბობთ პეტროგრადის მთავრობას ჩვენ არა ვცნობთ, რადგანაც იგი ჯარის ერთი ნაწილის ხიშტებზე ემყარებაო. ძალიან ბრძენები კი ბრძანდებით, მაგრამ სოკრატობას ბევრი გაკლიათ. სიდან იცით რომ ნიკოლოზის ჩამოგდებას მთელი ხალხი და ჯარი შეხვდა სიხარულით? რატომ არ იცით რომ ნიკოლოზის ერთმა ჯარის ნაწილმა ჩამოაგდო ტახტიდან და დროებითი მთავრობაც მათ შექმნეს ძალა-უფლებით". ის და დაგვრჩენია ჩამოუაროთ ყველას და შეეკითხოთ, სასურველია თუ არა მათთვის ახალი მთავრობა, დარწმუნებული ვარ ხლაც რომ კიდევ ბევრი მოიპოვება რუსეთში რომელთაც სურთ კიდევ ნიკოლოზის ხელ-წიფობა. მხოლოთ მდგომარეობა ისეთია, რომ ეს უკვე შეუძლებელია და თუ შემდეგში დროებითმა მთავრობამ მოიკიდა ფეხი თავის პოზიციებზე და გამაგრდა კიდეც, ეს უნდა მივაწეროთ იმას, რომ პროვინციამ დახმარება გამოუჩინა, გამოუცხადა სიმპატია და დასაძირკველდა კიდეც მხოლოთ იმ პირობით, რომ ახალ მთავრობას ხალხის ცხოვრებაში შეეტანა გაუმჯობესება. ყველასათვის ცხადია, რაც გაუმჯობესება შეიტანა იმ ახალ მთავრობამ ხალხის ცხოვრებაში, რომლის გამეფებას ხალხი ასე მხურვალეთ და სიხარულით მიეგება. სულ სხვას ვხედავთ მუშა გლეხების მთავრობის აღდგენის დროს. ჯერ ერთი, რომ ხალხი დაშინდა ამ რვა თვის განმავლობაში, გაჯერდა ურიცხვი შეპირებებით და ტრაბახით და ამის გულისთვის ის ისე ვერ ეგებება ახალ მთავრობას, როგორც ეს მოხდა პირველში. ერთი მხრით, კერენსკის ავანტიურამ დააშინა ხალხი. მეორეს მხრივ თქვენმა პროვოკაციულმა აგიტაციამ გააჩერა ხალხი,—არიქა არ მენდოთ ბოლშევიკებს, ისინი ქვეყანას ღუპავენო და რადგანაც ხალხის სიბნელით სარგებლობთ, თქვენი სიტყვები მოქმედობს მათზე და ამიტომაც ვერ უცხადებენ სიმპატიას ახალ მთავრობას. მესამე მხრით, ყველაზე უმთავრესი მიზეზი უნდობლობისა, თქვენივე მეოხებით სამოქალაქო ომის გამოწვევა და ძმათა სისხლის ღვრა მთლათ ართულებს საქმეს და რა საკვირველია კიდევაც უშლის ყველს ხალხის ნდობის გამოცხადებას.

კიდევაც მიკვირს, როგორ გაიმარჯვა საწყალმა, სისხლიდან დაწრეტილმა, ღონემიხდილმა შიმშილიდან და სიტიტვლიდან ტანჯულმა მშრომელმა ხალხმა თავიანთ მტერზე მაშინ, როდესაც თქვენისთანა მგლები გარშემო ელმუოდენ. მაშინ არ იყო მშრომელი ხალხი შეგნებული, როდესაც მან არა ერთხელ დაიხსნა რუსეთი თავისი სისხლით და ოფლით გარეშე და შინაური მტრებისაგან, მაშინ არ იყვნენ ისინი შეუგნებლები, როდესაც 1914 წ. თავგანწირულათ, უხმოთ, როგორც ყურმოჭრილი მონა ცხვრებივით გარეკეს გერმანიის ზარბაზნების საფლეთლათ, მაშინ არ იყო იგი შეუგნებელი, როდესაც 1917 წელს თავისი გმირული გამოსვლებით და თქვენი წასისინებათ დაამხეს თვითპყრობელობა. მხოლოდ ეხლა შეიქნენ შეუგნებლები, რომ გაბედეს და დაამხეს კაპიტალისტების ბატონობა. არა ბატონებო. ტყუილათ იოჯებით ვერ მოატყუილებთ ყველას, ისინი ძალიან კარგათ არიან შეგნებულებიც და გარევითარებულებიც, მხოლოთ თქვენ თვალში იმიტომ არიან შეუგნებლები რომ აღარ გაგაპარპაშეს თავიანთ სისხლით მოპოვებულ თფილ ადგილებზე და მოისურვეს თავიანთი საქმის თვითვე წარმოება. იმედს იძლევით, რომ ადრე თუ გვიან ბალშევიკები დამარცხდებიან, შეგნებული დემოკრატია ჩამოშორდებათ და ბოლო მოეღებათ მათ ავანტიურასაო. კი მაგრამ, მიმითითეთ სადა გყავთ ეგ თქვენი შეგნებული დემოკრატია? თქვენვე იძახით, რომ ჯარი ბოგანოა, ჯარი ბნელი მასსაა და იმიტომ აჰყვა ბალშევიკების ავანტიურასო, უფრო ნათლათ თქვენ იძახით, რომ ბალშევიკებს ხმა მისცეს ტუსაღებმა ჯარის ბნელმა ნაწილმა და სხ. თუ კი იცით ის, რომ ბალშევიკების მომხრენი არიან მხოლოთ ბნელი მასსა და არა შეგნებული დემოკრატია, რაღაზე იმედობთ რომ შეგნებული დემოკრატია ზურგს შეაქცევს მათ და ბოლო მოეღება მათ ავანტიურასო.

წარმოიდგინეთ, რომ შეგნებული დემოკრატია დღესაც ზურგ შექცეულია მათზე თქვენი სიტყვებით. შეიძლება იმას ფიქრობდეთ, რომ როცა ის ბოგანო, ის ბნელი მასსა, რომლის ძალაზედაც და შტიკებზე დღეს ემყარება ბოლშევიზმი, გამოიფხიზლებს, მოვა გონზე ვითომ გალლიუცინაციაში მყოფნი მაშინ ჩამოშორდებიან მათ. ეს ხომ თქვენი მხოლოთ ოცნებაა და სხვა არაფერი. დღითი დღე ძლიერდება ბალშევიკების ლაშქარი, თქვენი კი თხელდება და მცირდება. თქვენი შეგნებული დემოკრატია შეგნებული წვრილი ვაჭრობა და ჩინოვნიკობა საჭირო არ არის. ბალშევიკების მუშური და გლეხური ატმოსფერას ამშვენებენ. თქვენ რომ შეგნებულ დემოკრატიას იძახით, ის „დემოკრატია" ნაწოვია ჩინოვნიკ-ჩარჩ-ვაჭრული რძით, ბატონყმური ზნე ჩვეულებით და ზომიარე შრომით და მოსვენებით. თქვენ შეგნებულ დემოკრატიას ჯერ სიზმარითაც არ მოსჩვენებია ის გაჭირვება, რაც რომ ჩვენ ბოგანოს, ბნელ მასას თავის თავზე გამოუცდია. თუმცალა თქვენში ცოტანი არ არიან ნამდვილი მშრომელი პროლეტარიც, მაგრამ ამას ვიწინასწარმეტყველებ, რომ ისინი მალე ჩამოშორდებიან თქვენ გაჭიანურებულ პოლიტიკას და მოუდგებიან მხარში თავიან მოძმეებს. ისინი ისე არ არიან, როგორც თქვენი კერენსკი, რომელიც ხათრის და ძმაკაცობის გულისთვის ვერ მიდიოდა ბურჟუა კაპიტალისტების სურვილების წინააღმდეგ, თუმცალა კი იცოდა სიმართლე საით იყო არა, პროლეტარიატი როგორც, რომ იგრძნობს სიმართლე ვისკენ იხრება, ისიც იმისკენ არის. რაღა თავი უნდა იმართლოთ მათ წინაშე? რით გინდათ, რომ თქვენი მახინაციებით გზა კვალი აურიოთ მათ, როდესაც გამომჟღავნებულია თქვენი დამსახურება მათდამი? რომ მიუყვე თქვენი საბრალდებულო ოქმის შედგენას ვინ იცის ჩვენი პატარა გაზეთი ვერც კი მოითავსებს. უმთავრეს დანაშაულობას კი ვერ დაგმალავ. ნუ თუ თქვენ შეგეძლოთ მარტის დასაწყისში გამოგეჩინათ ერთგულობა მშრომელი ხალხი დაგეხსნათ მომავალი შიმშილობისგან რუსეთი და ზომები მიგეღოთ მიწები გლეხების ხელში გადასულიყო და დაგენიშნათ კანტროლი ყველა სამეურნეო სანოვაგეებზეთ. განა შიმშილმა იცის თქვენი პრინციპი. თქვენი ლოლიკა? თუ კი ის მოახერხეთ. გაანთავისუფლეთ რომელიმე ასი ათასობით ტუსაღები, რატომ არ იფიქრეთ მათი ბედნიერება და მასთან ერთან შიმშილის აჩრდილის თავიდან აცილება? რათ არ გაუმზადეთ მათ შესაფერი საქმიანობა? რათ არ გადაეცით მათგან უპრაველესობას, როგორც მიწის მუშებს თავისუფალი მიწები? აი სად არის, რომ თქვენ საბრალდებულო ოქმი საფუძვლიანი ოქმია და საზოგადოება, რომ თვალხილულათ გიპყრობდეთ თქვენ, ხმაც არ ამოგეღებათ ამის მერე საზოგადოებაში.

თქვენ იძახით ბოლშევიკები ბლანკისტები არიანო. მე კი დაგათქმევთ ახალმოდის ხალს: თქვენ კი რეკლამისტები ბრძანდებით. დიახ შეს ფერი სახელწოდება. აიღეთ თქვენი ფერად ფერადი რეკლამები, პლაკატები, წითელ ყვითელი ნიშნები, რომლების საშუალებითაც თქვენ თბილისში და ამიერ-კავკასიის პროვინციაში გაიმარჯვეთ და დამერწმუნებით, რომ თუ არა ეს რეკლამები თუ არა ეს კომერციული თვალის საჭრელი ხრიკები, თქვენ როგორც რუსეთში, ისე ამიერ კავკასიაშიც დამარცხდებოდით, ავიღოთ ბოლშევიკების მეუდრო უფერულ ქაღალდზე დაბეჭდილი აქა იქ კიდელზე გაკრული 5, ნომრიანი ქაღალდი თითქმის ისინი არსად არ მოსჩანდნენ. მაგრამ იმ მცირედმა უფერულმა ურეკლამო ქაღალდებმა შესაფერათ იმოქმედეს მაინც საზოგადოებაზე.

დიახ თქვენ, როგორც მეწონებათ ისე მსჯელობთ, როთორც ულმობელი ძველი რეჟიმის პროკურორები. რაც გინდა მართალი ყოფილიყო დამნაშავე, რადგანაც ის სასამართლოში იყო წამდგარი, პროკურორი თავის „მოქალაქობრივ" ვალს იხდიდა კანონის ძალით და სადაც უნდა ყოფილიყო, მონახავდა ბნელ მასალებს ოღონდაც იმას ბრალი დაედო დამნაშავისათვის. თქვენც იმ პროკურატურიდან ალბათ ან მიგითვისნიათ ან დროებით ესესხეთ. როდის უნდა დაუბრუნოთ უკან ეს ნასესხები?

თქვენ იძახით ლენინ-ტროცკის ქაღალდის სოციალიზმი ამ ჟამათ დეკრეტებით იკვებებაო. გეკითხებით საიდან სჩანს რომ ლენინ-ტროცკი ამჟამათ სოციალიზმს ამყარებდა? რას ბოდავთ, რას ერჩით თქვენ ჭკუას, თუ მართლა მაგის მეტი არა გაგეგებათრა და ძალას აყენებთ თქვენ ჭკუას სწეროთ ამისთანა „ჩიბუხები", ნუ იქნებით ერთომდა გულუბრყვილო გაუგვრები, ნუ დააბრმავებთ ისედაც დაბნეთებულ ხალხს ამ სიტყვებით. თუ მაგდა გაქეთ ლაპ რაკისა შეგიძლიათ მონახოთ მოსაუბრე და ილაპარაკოთ რაც რაც გენებოთ.

ჩვენ ვამბობთ, რომ სოციალიზმის განხორციელებას არ ესაჭიროება. ბურჟუაზიის აპეკუმობა, ჩვენვე შეგვიძლია გავახორციელოთ იგი ახლო მომავალში და სულ მცირედი მსხვერპლით. თქვენ არ გინდათ გაუწიოთ ანგარიში მას, რაც გვასწავლა საფრანგეთის რევოლიუციამ. ჩვენ ვამბობთ, რომ ბურჟუაზიის კლასს ნუ მიეცემათ იმდენ საშუალებას რომ ის წინ აღუდგეს ჩვენი მიზნის მიღწევას. რადგანაც მან არა ერთხელ და ორჯერ დაამტკიცა თავისი ღალატი პროლეტარიატისადმი.

ჩვენ ვერ ურიგდებით ბურჟუა კაპიტ. ჩვენ ვგმობთ, მათაც, ვინც მათ ელაქუცება. თქვენ გინდა ცხოვრება მიიყვანოთ სოციალიზმამდე დრო გამოშვებით, კი მუშტის კვრით, რომ ცხოვრება ყოველ აღმართ დაღმართში ჩერდებოდეს, ჩვენ გვინდა შევქმნათ ხელსაყრელი პირობები და რაც შეიძლება მალე და პირდაპირი გზა ტკეცილით მივაწიოთ მას, რასაც მხოლოთ ოცნებობთ და ჩვენ კი ნამდვილ აუცილებელ მოსალოდნელათ მიგვაჩნია.

თქვენ გიკვირთ, რომ ლენინმა დეკრეტით შიმართა სასურსათო კომიტეტს, რომ მან იქონიოს პირდაპირი გაცვლა გამოცვლა სოფლებთან, და ხნით მის შეუძლებლობას იმითი, რომ როგორ შეიძლება პეტროგრადის ანუ სხვა ქალაქის მუშებმა, რომელნიც თავდაცვის საქმეზე მუშაობენ, რომლებიც ზარბაზნების, ყუმბარების ტყვია წამალს ამზადებენ, გაუგზავნონ სოფლებში თავიანთი ნაწარმოებიო" თქვენი სიტყვით გამოდის, რომ ბალშევიკებს ისევ სურთ განაგრძონ იმ ქარხნების მუშაობა თავიანთ დარგში საზოგადოების უსარგებლოთ და გგონიათ, რომ მეტი საქმე არ გაკეთდება იმ ქარხნებში და ფაბრიკებში გარდა ტყვია წამლისა და თოფ ზარბაზნისა. ისიც გგონიათ რომ რუსეთში „ზაპასი" სანოვაგე აღარ მოიპოვება. მაგრამ გავისაჯოთ და აღმოვაჩენთ ბევრ ბეველ სანოვაგეს და სხვა სასურსათო საგნებს. რუსეთში ბევრია ფქვილიც, სიმინდიც, ნავთიც, შაქარიც და სხვ. საქმე იმაშია, რომ ენერგიულათ მოვეკიდოთ ჩვენი ჩვენი ვალდებულების შესრულებას. ქ. თფილისშიაც თითოს 3/8 პური ეძლევათ ამ ხანათ მაგრამ ვაჭარ სპეკულიანტების და ბურჟუა-კაპიტალისტების ოჯახებში ძაღლებსაც კი მოჭარბებული აქვთ ბისკვიტ-პეჩენიები. ნუ გეშინიათ თქვენი კეთილშობილი ბურჟუა ჩარჩ ვაჭარი შუაღამის 12 საათიდან კუდეებში არა დგანან, რომ მიიღონ ქატო და თივა ნარევი 3/8 გ. პური. იმათ ესენი არ ეჭირებათ. ეხ, პროლეტარო მშრომელო ხალხო! როდის იქნება რომ შენც სთქვა, მეც ადამიანურათ ვცხოვრობ და ვგრძნობ ჩემ თავსო.

დიახ, ყმაწვილებო, ჩვენ თუ ბლანკისტები ვართ თქვენ მაგიერში რეკლამისტები ხართ და სული უღლოცეთ თქვენ რეკლამებს, თორემ ამიერ კავკასიაშიაც ის ბედი გეწვევათ როგორიც ეწვიათ თქვენ მოძმეებს რუსეთში. თქვენ სიტყვისა და ლაქლაქის ხალხი ხართ ბალშევიკები კი საქმისა და ენერგიის ხალხია. აი რაშია ბოლშევიკების დანაშაული, ისინი გაბედულათ მოქმედებენ, სიტყვას საქმეთ აქცევენ და ამით თქვენ არა ხართ კმაყოფილი სჯობს გამოიცვალოთ სახელი, აღარ დაირქვათ სოციალისტები, დაირქვით ავტომობილებში მოქრიალე რეკლამისტები.

**რა—მან.**

## დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგი.

მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების ყველა საბჭოებს, ყველა ჯარების ორგანიზაციებს.

სახალხო კომისარების საბჭოს მრავალ ადგილებიდან მოთხოვეს, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები ტეხნიკური დაბრკოლებათა გამო გადადებულ იქნას კიდევ რამდენიმე დღით. ამასთან ერთათ უთითებენ იმაზედაც, რომ გადაყენებულ ძველ მთავრობისგან შემდგარ ცენტრალურ საარჩევნო კომ სიის მიერ ჩატრალურ უკეთურობაზე, რაიცა გამოიხადენილ უკეთურობაზე, რაიცა გამოიხატა თურმე იმაში, რომ ხელოვნურათ უძნელედბენ არჩევნებში მონაწილეობას დემოკრატიის მდაბიო ნაწილებს. ამ კომისიის მეოხებით კადეტები, ეს ხალხის მოსისხლე მტრები, დამფუძნებელი კრების გაყალბებას ცდილობენ.

სახალხო კომისარების საბჭო საჭიროთ არ თვლის შეაჩეროს კადეტების და შემთანხმებლის საარჩევნო მუშაობა და დამფუძნებელი კრების მოწვევა გადასდოს.

მაგრამ მასთან ერთათ საბჭოების მთავრობა თავის პირდაპირ მოვალეობად რაცხს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რომ ხალხის უფლება გაყალბებული არ დარჩეს. ამ მიზნით ყველა ადგილობრივ საბჭოებს და ჯარების ორგანიზაციებს წინადადებას ვაძლევთ, რომ ახლავე შეკრიბონ ფაქტები, რომლებიც ცხადათ, თუ ფარულათ დარღვეულ საარჩევნო უფლებას გვიხატავენ.

ამ ფაქტებისა და საბუთებზე დამყარებული სახალხო კომისარების საბჭო მოხსენებას წარუდგენს დამფუძნებელ კრებას, რომელიც უთუოდ ზომებს მიიღებს, რომ თავიდან აშორებულ იქნას ბოროტ-მოქმედებათა ცუდი შედეგები და ხელ-ახალი არჩევნებისთვის ნიადაგს მოუმზადებს, რომ მსგავს ბოროტ-მოქმედებას ადგილი არ დაურჩეს სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი.

არჩევნების შედეგი:

დღემდე (22 ნოემბრამდე) მთელ რუსეთში ხმა მიიღეს:

1) ბოლშევიკებმა—682,065;

2) შეერთებული ს. დ. ინტერნაც.—6,304;

3) მენშევიკი (ინტერნ. და ობორონცები)—94,303;

4) ესერები (ინტერ. და ობორონცები)—303,907;

5( ნაროდ.-სოციალ.—40,229;

6) „ედინსტვოს“ ჯგუფი—3,667;

7) და კადეტები—452,655.

უმეტესათ საარჩევნო ოლქებში ბრძოლა სწარმოებს კადეტებსა და ბოლშევიკებ შორის. პირველ ალაგს იჭერენ ბოლშევიკები. ჯერ-ჯერობით არჩეულია (ეს იყო 22ო ნოემბრამდე პეტროგრადში) სულ 6 დეპუტატი ბოლშევიკი, 4 კადეტი, 2-იც ესერი.

## ქრონიკა

29 ნოემბერს ამბავმა თბილისის მუშათა შორის დიდი აღელვება გამოიწვია. რამდენიმე კაცის გამოკლებით, ვერის რაიონის (4-ხე რაიონის) წითელი გვარდიელების დიდმა უმრავლესობამ უარი სთქვა გამოსვლაზე და არც გამოსულან ამ დღეს. ამ ამბის გამო 30 ნოემბერს მოხდა წითელ გვარდიელების,—მხოლოთ მუშების—შეერთებული კრება, ამ კრებას დაესწრენ როგორც ბოლშევიკი ისე მენშევიკი მუშები რიცხვით 65 კაცამდე. თითქმის ყველამ, ორი ან სამი კაცის გარდა, დაგმო და გაკიცხა ამ აღმაშფოთებელის ამბის გამომწვევნი და კრებამ აღნიშნა რომ მშვიდობიანი გზითაც შეიძლებოდა იმ კონფლიქტის თავიდან აშორებაო, მუშა მენშევიკები აცხადებდნენ, რომ ჩვენ არ წავსულვართ და არც წავალთ ამხანაგ ბოლშევიკების წინამდეგ იარაღით ხელშიო. გაგზავნონ კალედინის წინამდეგ და ყველა როგორც ერთი სიხარულით წავალთ მის წინააღმდეგო ამხ. ბოლშევიკებთან ერთათო.

კრება დიდ ხანს გაგრძელდა: უდროობისა და უმთავრესათ იმის გამო, რომ კრებას ბევრი ამხანაგი ვერ დაესწრო, რეზოლიუცია ვერ გამოიტანა რისთვისაც კრება შემდეგისათვის გადასდეს. მხოლოთ ამოირჩიეს კომისია, რომელსაც ყველა ამხანაგების შეტყობინებას ევალება, რომ მომავალ კრებას რაც შეიძლება სრული დარჩეს. კრება შედგება 3 დეკემბერს, ორშაფათს სად. 7 საათზედ მე 6 გიმნაზიის (უდელის ქუჩ. № 3.) ვთხოვთ ყველა ამხანაგებს, მხოლოთ მუმუშებს, ვერის რაიონის (მე-4 რაიონის) წითელ გვარდიელებს უსათუოთ დაესწრონ ამ კრებას, რადგან გასარჩევი საკითხი ფრიად სერიოზულია.

---

დამფ. კრების არჩევნები ბაქოში.

როგორც გამოირკვა, არჩევნებმა ბაქოში მოგვცეს ასეთი შედეგები:

| | | |
|---|---|---|
| № 5 (ბოლშ.) | მიიღო— | 22.198. |
| „ 4 (დაშნკ.) | „ | 22.314. |
| « 3 (ესერები) | „ | 18,766. |
| „ 2 (კადეტ.) | „ | 9,054. |
| „ 1 (მენშევ.) | „ | 5.657. |

## მუშათა წერილები

გაზ. „ერთობის“ 203 ნომერში მოთავსებულია წერილი 17 ოიემბერს პროფ. კავშ. და გამგეობის წევ. შესახებ, რომელშიაც ნათქვამია მხოლოთ ელექტრონის სადგურების მუშათა გაფიცვაზე. მე ძალიან გაკვირვებული ვარ, რატომ იმ წერილის ავტორმა სხვა უფრო საინტერესო საკითხებზე არაფერი არ მოათავსა, თუმცაღა ბევრი იყო საყურადღებო კითხვები; მაგ. კავკასიის კომისარიატის შესახებ ი. ჟორდანიამ წაუკითხა კრებას გამზადებული რეზოლიუცია, (მაშინკაზე გადაბეჭდილი) რომელშიაც გულითად სიხარულს გამოთქვამდა და ქებას ასხამდა და ნდობას უცხადებდა ამ. კავკ. „სოციალისტურ“ მთავრობას, რომელიც ამხ. თოდრიას გალაშქრების გამო ამ. კავკ. ახალ გამომცხვარ სამინისტროს წინააღმდეგ ხმის უმეტესობით გადადებულ იქნა სხვა დროისათვის. სანამ უნდა ატყუილონ ხალხი „ერთობის“ კალმოსნებმა? სანამ უნდა მალონ სიმართლე?

---

გაზ. „ერთობის“ ფურცლებზე ხშირათ არის აღნიშნული, რომ არჩევნებში ბოლშევიკებს ხმას აძლევენ დეზერტირები, ტუსაღები და სხვ. ამის შესახებ მე ვიტყვი, რომ ბოლშევიკებს ხმას აძლევენ ნამდვილი მუშები და უღარიბესი გლეხები და სალდათები (იგივე გლეხები და მუშები შინელში) მენშევიკებს კი ხმას აძლევენ ყველა სპირტების და არყის გამყიდველები, მიკიტნები, წვრილი და შუათანა ჩარჩები და სხვა პატივცემული გვამები.

ერთს მაგალითს მოვიყვან, ერთი რესტორანის შუშაბანდები და კარები სულ შეფუთნული იყო 1-ლ ნომრის განცხადებებით და ბიულეტენებით, როცა ერთმა გამვლელმა ჰკითხა რესტორანის პატრონს, შენ განა ს.-დ. მენშევიკს აძლევ ხმაო? აბა ვის მივცე, თუ არ პირველ ნომერსო, ეგენი უვნებელი ხალხიაო, მაგათთან თავს მოვიკლავთო.

ასეთ პროლეტარებს აერთებს მენშევიკების პარტია. **გ. ხოჭელი.**

## სტამბის მუშებს შორის

ორშაბათ, 4 დეკემბერს, მოსალოდნელია საერთო გაფიცვა სტამბის და სხვა ბეჭდვითი წარმოებს დარგში: მუშათა კავშირი იძულებულია გამოაცხადოს საზოგადო გაფიცვა იმ გარემოებისაგან რომ მწარმოებელთა კავშირმა მუშათა კავშირის და შრომის კამისარის დაუკითხავათ გადასწერა ის პროტოკოლი, რომელიც შედგენილი იყო მუშათა და ხაზეინთა წარმომადგენლობის სხდომაზე შრომის კამისარის თანადასწრებით და ამ პროტოკოლში შეიტანა ისეთი ცვლილებები, რომლებიც სანახევროთ სცვლიდენ ტარიფის შინარსს, ამნაირათ ჩუმად გადაწერილ და შეცვლილ ტარიფს მოაწერეს ხელი და გაუგზავნეს შრომის კომისარს, ეს მოქმედება ჩაიდინეს მწარმოებელთა კავშირის წამომადგენლებმა მარტიროსიანცმა, ფარსეგოვმა და შალბაზიანცმა. არავითარი შენიშვნა გადასერილი ტარიფისთვის იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მუხლი შეცვლილია, არ გაუკეთებიათ და ასეთი ყალბი ტარიფი წარუდგინეს ხელ-მოსაწერათ შრომის კამისარს მუშები კავშირის წარმომადგენლებს. ეს სიყალბე შემჩნეული იქნა თავის დროზე და მუშების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ასეთ ტარიფზე ხელის მოწერაზე.

მუშათა რწმუნებულების კრებამ დაადგინა, თუ მწარმოებელთა კავშირს წარმომადგენლები არ მოაწერენ ხელს ნამდვილი ტარიფის დედანზე და არ ჩასთვლიან მას 15 ოქტომბრიდან ძალაში შესულათ, იმ შემთხვევაში ორშაფათს, 4 დეკემბერს იქნბა გამოცხადებული საზოგადო გაფიცვა თფილისის ბეჭდვითი სიტყვის მომუშავეთა.

## გლეხის წერილი.

1905 წლიდან მქონდა ჩარჩენილი გულში თავისუფლების ტრფიალი დავდიოდი მუდამ დაფიქრებული და ამ ქვეყნისა სულ არაფერი არ მომწონდა, არც ფართოთ ვიყავი ჩასმენილი, რომ ამომეთქვა ჩემი გულის ბოლმა, და მუმუდამ გულში ვიტანჯებოდი. საზიზღრათ მეჩვენებოდა ყოველი ფკით მპყრობლური ნაბიჯი; მხოლოთ მის წინააღმდეგ არა შემეძლორა და გულში ვიტანჯებოდი, ავეოა კიდეც მოვესწარით. რომ ამ წელს თებერვალში ჩამოაგდეს ნიკოლოზი ტახტიდან; უკებ წამოსკუპდნენ იმასივე ბურჟები იმის ალაგას, სიტყვით თავისუფლება მოგვცეს, მხოლოთ საქმით კი ნიკოლოზზე უარესი მუხრუჭი მოგვიჭირს; მე ამის მომსწრე ისევ გულში ვიტანჯებოდი. ხალხი პარტიებათ და იყო ვყელა თავის ინტერესის იცავდა მხოლოდ ჩიმისთანა გლეხის ინტერესის დამცველი ცოტანი იყვენ დ მეკი მუდამ ჩემი ფიქრი მტანჯავდა.ბოლოს მოვესწარი იმასაც, რომ ჩვენი დაჩაგრული ხალხის ინტერესის დამცველებიც გამოჩნდა. სახელდობრ ერთათ ერთი პარტია ბოლშევიკებისა. აი სწორეთ ახლა მეც გამოვიღვიძე და თითქო რაღაც მიხარიან, ნამეტნავათ როცა ტრიბუნაზე ადის ჩვენი პარტიისა. და ქადაგობს, მე სიხარულით ტირილი მომდის, გული ცეცხლებრ მეგრძნება და მზათა ვარ, ჩემი საკუთარი სიცოცხლე ვანაცვალო, ვინც დაჩაგრულ და ძირს დაცემულს ხალხს ფეხზე წამოაყენებს. აი კიდეც დაჰკრეს თავში ბურჟუაზიულ მთავრობას და ხელახლათ ისიც დამხეს პირქვე. აიღეს ყველა უფლება ხელში მთელი რუსეთის ცენტრ ქალაქებში. ყველა ეს მოიქმედა ჩვენი ინტერესის დამცველმა ბოლშევიკების პარტიამ. და აი სწორეთ მართალია ქართული ანდაზა: შავი ტანი და თეთრი ტანი აბანოში გაირჩევაო. სწორეთ ახლა ვიცანით ის ვაჟბატონები, ვინც ენით იასა და ვარდს გვიძლვნიდენ, და გული კი გესლიან ჰქონდათ სავსეი, დღეს ეს ვაჟბატონები სახელდობრ მენშევიკ ესერები, რომლებიც ბურჟუაზიის ნასუფრალით არიან გამოზრდილები და იმიტომაც ვერ იმეტებენ იმათ პირქვე დამხობას რუსეთის ცენტრს გამოეთიშნენ და ახლა კავკასიაში უნდათ წამოაყენონ დაკოდილი ბურჟუაზია ფეხზე. რაღაც ნაკმაზს უყრიან ხალხსა, რაღაც ხრიკებს ხმარობენ, აგულიანებენ ზოგს შეუსმენელს ღარიბ ხალხს, რომ არ დაუჯეროთ პეტროგრადის მთავრობას, ჩვენ ახალი მთავრობა შევადგინეთო. რაც ამ რვა თვის განმავლობაში მოგვიპოვეს, იმასვე მოგვიპოვებენ ახლაც. ბოლშევიკებმა კი რო ჩაიგდო ხელში მართვაგამგეობა, აშკარათ დაგვანახვა, როგორ უნდა ხალხის სამსახური. პირველათ საზიზღარს ომს დასცა ლახვარი, გამოგვიაშკარავა მცარცვავ მთავრობის ავაზაკური ხელ-შეკრულება ჩვენს მოკავშირე სახელმწიფოებთან, და იმედია ბოლომდისინ მოიყვანს საქმეს და მოგვიპოვებს თავისუფლებას. მაშ გაუმარჯოს მუშისა და გლეხების ინტერესის დამცველ პარტიასა, გაუმარჯოს ყოველვე ძალაუფლების ხალხის ხელში გადასვლას.

გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციონურ ხალხთა ერთობას. ძირს კავკასიის გამოცალკევება!

კავკასიის ძირითადი პარკის ჯარისკაცი **ბაბუაშვილი.**

## პროვინცია.

**ქ. სამტრედია.** 17 ნოემბერს რკინის გზის კლუბში ამხანაგ ნოე ლექავამ წაიკითხა ლექცია: „ომი და ინტერნაციონალი“. ლექცია წაიკითხა რუსულ და ქართულ ენაზე. დაესწრენ ჯარის კაცნი და მუშები. კამათი არ შემდგარა, რადგან ოპონენტი არ აღმოჩნდა.

21 ნოემბრისთვის მოწვეული იყო დამფუძნებელი კრება რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკებისა. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება, ორგანიზაციის დაარსების საკითხი და კოლექტივის არჩევნები. დაესწრო უმთავრესად ჯარის კაცნი და მუშები. ამ დღეს ჩაეყარა მტკიცე საფუძველი ბოლშევიკების ორგანიზაციას. ორგანიზაციაში ჩაეწერა მრავალი ჯარის კაცნი. არჩეულ იქმნა კოლექტივში შვიდი კაცი.

ყველა ჩაწერილ წევრებმა შემოიტანენს საწევრო გადასახადი და იყო აგრეთვე წევრთაგან შემოწირულებები.

ყველა წევრი აღტაცებით მიეგება ორგანიზაციის დაარსებას.

კრება დაიხურა საღამოს 7 საათზე.

**ხალვი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა